


თაზი III

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიბნებები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 10 145 000.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 7 629 628.3 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 75.2%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 7 340 609.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.2%-ია.

საქართველოს 2011-2016 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების წლიური,
9 თვის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 8 543 569.5 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 6 479 008.4 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 75.8%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6 255 944.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.6%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 750 071.9 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 540 062.1 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 72.0%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 442 849.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 82.0%-ია.


სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 407 001.6 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 307 178.9 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 75.5%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 347 069.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 113.0%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 444 357.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 303 378.9 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 68.3%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 294 745.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.2%-ია.

2016 წლის 9 თვის ასიგნებების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. მიმდინარე წლის ივლისში განხორციელდა საპენსიო ასაკის საფუძველზე დანიშნული პენსიის ზრდა, კერძოდ ყველა ასაკით პენსიონერთათვის პენსიის ოდენობა განისაზღვრა 180 ლარის ოდენობით. სულ საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამული კოდიდან გადარიცხულ იქნა 1 153.1 მლნ ლარი.

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ლატაკი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა. ასევე, სოციალური პაკეტის დაფინანსება შშმ პირებისთვის, შშმ ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის და სხვა მოწყვლადი კატეგორიებისათვის, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მესამე და ყოველ მომდევნო ცოცხლადშობილი შვილის დაბადების გამო ფულადი დახმარების გაცემა, (2016 წლის 1 იანვრიდან ფულად დახმარებას იღებენ ბენეფიციარები, რომელთა ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი). მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ 482.9 მლნ ლარი;

- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში (სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან), რომლის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პროგრამამ მოიცვა ასევე, გეგმიურ-ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები (გეგმიური ქირურგული ოპერაციები მ.შ. კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა, მშობიარობა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები და ა.შ.). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 492.3 მლნ ლარი;

- პირველი სექტემბრიდან ძალაში შევიდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები, კერძოდ: მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერები მიიღებენ დანამატს პენსიის 20%-ის ოდენობით, ასევე სოციალური პაკეტის მიმღებთათვის დაინიშნა დანამატი სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. სექტემბერში პროგრამის ფარგლებში: სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირთა დანამატი მიიღო 51.5 ათასამდე პირმა, ხოლო სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა დანამატი - 10.1 ზე მეტმა პირმა;

- საქართველოს თავდაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების მიერ დაფინანსებულ იქნა მოსამსახურეთა სადაზღვევო პრემიები;

- მიმდინარეობდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებშიც კერძო საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი (ბინა) გადაეცა 1 513 ოჯახს, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა

რეგიონში შეძენილ იქნა 537 საცხოვრებელი სახლი. განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 51 ბინის გამოსყიდვა, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 82 საცხოვრებელი სახლი. დასრულდა მენაშენებისაგან საცხოვრებელი ბინების შეძენა ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში 5 ობიექტზე, ხოლო მიმდინარეობდა ბინების შესყიდვა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში 6 ობიექტზე. მიმდინარეობდა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა 3 ობიექტზე. დასრულდა შენობა-ნაგებობის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები 3 განსახლების ობიექტზე, ხოლო მიმდინარეობდა - 5 განსახლების ობიექტზე;

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაციის, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 23.3 მლნ ლარი.

- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 4 742 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 1 425 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 200-დან 300 ლარამდე);

- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ უძრავი ქონებით დაკმაყოფილებულ იქნა 2 394 იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახი, ხოლო 407 უძრავი ქონება გადაეცა ეკომიგრანტთა ოჯახებს;

- ქვეყნის მასშტაბით არსებული ორი ათასზე მეტი საჯარო და 240-მდე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 377.0 მლნ ლარი;

- უზრუნველყოფილ იქნა 1.2 ათასამდე საჯარო სკოლის 70.0 ათასამდე მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შორია, ამ მიზნით სულ მიიმართა 10.2 მლნ ლარი.

- კონფლიქტის ზონებში მცხოვრებ პედაგოგებსა და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს გაეწია ფინანსური დახმარება, ამ მიზნით მიიმართა 1.8 მლნ ლარი.

- 1 300-მდე მანდატური საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოების დაცვას. მანდატურები გადანაწილებულნი იყვნენ 450-მდე სკოლაში, 3 პროფესიულ სასწავლებელსა და ერთ უნივერსიტეტში;

- დასრულდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოს ახალი სკოლის მშენებლობა და 180 საჯარო სკოლისა და 9 პროფესიული სასწავლებლის სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მომზადდა 350-ზე მეტი სკოლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და საამშენებლო-სარეაბილიტაციო პროექტები, სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით დაფინანსება მიიღო 138 საჯარო სკოლამ და 5-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. ასევე, დასრულდა 12 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, 13 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების სატენდერო პროცედურები და 13 საჯარო სკოლაში დამონტაჟდა ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა, ცალკეული პროექტების განხორციელების მიზნით 10-მა პროფესიულმა სასწავლებელმა მიიღო დაფინანსება.

- საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და მხარდაჭერით მიმდინარეობდა მასშტაბური პროექტი „Check in Georgia“, რომელიც მოიცავს კულტურული ღონისძიებების სერიას თბილისსა და რეგიონებში. მისი მიზანია ქვეყნის კულტურულ ცენტრად ქცევა და ტურისტების მოზიდვა. ამ მიზნით მიმართულ იქნა 27.8 მლნ ლარი;

- ხელი შეეწყო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მდგომარეობის შეფასების, ძეგლების რეაბილიტაცია/კონსერვაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას;

- „სპორტსმენთა სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები გაიცა 700 სპორტსმენზე, მწვრთნელზე და საექიმო პერსონალზე. „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის

გასაუმჯობესებლად 402 ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 32 სახელოვან სპორტსმენს, თითოეულს 1 000 ლარის ოდენობით;

- სპორტულ სახეობათა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 175 - მდე ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი და 230 - მდე სასწავლო - საწვრთნო შეკრება სპორტის 48 სახეობაში. ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 150 - მდე საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში და მოიპოვეს 570 მედალი (197 ოქრო, 167 ვერცხლი და 206 ბრინჯაო);

- სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განახლების პროგრამის ფარგლებში დაწყებულია პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს რეგიონებში 24 გარე სავარჯიშო მოწყობილობის დამონტაჟებას. საანგარიშო პერიოდში დამონტაჟდა 22 ერთეული გარე სავარჯიშო მოწყობილობა, ასევე, ეროვნულ სპორტულ ფედერაციებს და ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცა სპორტული ობიექტებისათვის შეძენილი სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი;

- განხორციელდა სსიპ - საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში რიცხული 150 სპორტსმენის, მათ შორის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებისა და კანდიდატების უზრუნველყოფის პროგრამა საცხოვრებლით, კვებით და სპორტული დარბაზებით;

- „ახალგაზრდული ფესტივალი 2016“-ის ფარგლებში ჩატარდა მრავალჯანრობრივი ფესტივალი - „ფანARTი“, რომელიც ითვალისწინებს ხელოვნების 10 მიმართულებით (საავტორო ან იმპროვიზირებული კლასიკური მუსიკა, ფერწერა, ქანდაკება, კინო/ანიმაცია, ფოტოგრაფია, სოციალური ტელემედია, როკი/ალტერნატიული მუსიკა, ლიტერატურა, ფოლკლორი, სტენსილი) გამორჩეული ახალგაზრდების (მონაწილეთა ასაკი - 15-29) ნიჭის წარმოჩენას;

- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ზაქათკარი, ჯალმიანი, ბედონი, ბეგონი, ბენიან-ბეგონი, იუხო, მუდურუ, წკერე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი და ქოროლო, აგრეთვე იმ სოფლებში, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის (4.3 ათასზე მეტი აბონენტი) მიერ 2015 წლის პირველი დეკემბერიდან 2016 წლის 15 მაისის ჩათვლით მოხმარებული 7.7 მლნ მზ ბუნებრივი აირის ღირებულება 3.1 მლნ ლარის ოდენობით;

- სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის, წყალსაცავების მშენებლობის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, მანქანა მექანიზმების, მოწყობილობების, დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენის, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის, მექანიკური სატუმბი სადგურებისა და სხვა ჰიდროკვანძების ფუნქციონირებისთვის მოსახმარი ელექტროენერგიის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით მიიმართა 28.0 მლნ ლარი;

- შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ხორციელდება მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, შესაბამისად სააგენტო უზრუნველყოფს პროექტში მონაწილე კომერციული ბანკების და საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, დადგენილი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. საანგარიშო პერიოდში გაცემულია 627 სესხი - 30.8 მლნ დოლარის და 497 სესხი - 24.3 მლნ ლარის ოდენობით. სულ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 37.1 მლნ ლარი;

- 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში მოხსულმა მიწის ფართობმა შეადგინა 201.4 ათასი ჰექტარი, რისთვისაც სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირებისათვის მიიმართა 49.8 მლნ ლარი;

- აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ შეადგინა 122.9 მლნ ლარი, ხოლო დაზღვეულმა ფართობმა - 14 307 ჰექტარი. პროგრამის ფარგლებში ანასრაურდა 3.6 მლნ ლარი;

• საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯულ იქნა 355.9 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ გზების პერიოდულ შეკეთებაზე და რეაბილიტაციაზე - 86.6 მლნ ლარი.
- ✓ გზების მიმდინარე შეკეთებაზე და შენახვაზე ზამთრის პერიოდში - 32.5 მლნ ლარი.
- ✓ ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობაზე - 160.3 მლნ ლარი.

• სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 141.7 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამაზე - 49.3 მლნ ლარი;
- ✓ წყლის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ პროექტებზე - 23.0 მლნ ლარი.
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) პროექტზე - 8.0 მლნ ლარი;
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) პროექტზე - 5.2 მლნ ლარი;
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB) პროექტზე - 4.8 მლნ ლარი;
- ✓ რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II პროექტზე - 10.7 მლნ ლარი;
- ✓ ქიათურის საბაგირო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტზე - 11.5 მლნ ლარი;
- ✓ საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტიზე - 9.7 მლნ ლარი;

• წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა - რეაბილიტაციაზე პროექტების ფარგლებში ძირითადად მიმდინარეობდა და დასრულდა: ქალაქ ფოთში 4 ახალი რეზერვუარის საფილტრი და სატუმბი სადგურების მშენებლობა, მაგისტრალზე მიერთებულ სოფლებში ჭაბურღილების და გამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაცია. ქალაქ ქუთაისში რეზერვუარების და სატუმბი სადგურების მშენებლობა, მაგისტრალური და გამანაწილებელი ქსელების მოწყობა. ქალაქ ურეკში წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა და სხვა. აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 68.9 მლნ ლარი.

• სახელმწიფო ქონების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მიზნით, სახელმწიფო უწყებებს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს გადაეცა 185 უძრავი ქონება, ხოლო თვითმმართველ ერთეულებს - 1 193 ობიექტი;

• საანგარიშო პერიოდში „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ ხელშეკრულებები გაფორმდა 59 ბენეფიციარ კომპანიასთან საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიზნით. მათ მიერ განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 96.9 მლნ ლარს, ხოლო ფინანსური ინსტიტუტებიდან გაცემული სესხების ოდენობა - 53.6 მლნ ლარს (შეიქმნება დამატებით 1 606 ახალი სამუშაო ადგილი);
- ✓ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 1 185 ბიზნეს პროექტი, საიდანც I ეტაპზე დაფინანსებულია 544 პროექტი, ხოლო II ეტაპზე 641 პროექტი. მეორე ეტაპის ფარგლებში ბიზნეს გეგმის წერის ტრენინგი ჩაუტარდა და გადამზადდა 3 700-ზე მეტი ბენეფიციარი;
- ✓ პროგრამის „მიკრო გრანტები მთის განვითარებისთვის“ ფარგლებში დაფინანსდა 327 ბიზნეს პროექტი, ბიზნეს გეგმის წერის ტრენინგი ჩაუტარდა და გადამზადდა 2 000-ზე მეტი ბენეფიციარი;
- ✓ ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში ინდუსტრიული ნაწილის 2 ბენეფიციართან გაფორმდა ხელშეკრულება თანადაფინანსების თაობაზე. გარდა ამისა, ჩატარდა ქართველ მენეჯერთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა, რომელიც მოიცავდა ქართველი მეწარმეების (კვების პროდუქტების, ღვინის წარმოების, სოფლის მეურნეობის, ფარმაცევტული და ტექსტილის

მწარმოებელი კომპანიებიდან) გერმანიაში ვიზიტს, ტრენინგებსა და ასევე, ინდივიდუალურ შეხვედრებს გერმანიაში მოქმედ კომპანიებთან;

- ✓ „გადაიღე საქართველოში“ კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით, განხორციელდა 5 პროექტი, საიდანაც 4 პროექტი უკვე დასრულებულია. ჯამურად მათ მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიცია შეადგენს 7.3 მლნ ლარს, ხოლო მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მოცულობა შეადგენს 5.9 მლნ ლარს. პროგრამის პროექტების ფარგლებში დასაქმდა 650 ადამიანი;

- გაიზარდა საქართველოს საელჩოების გადაფარვის არეალი და დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები სვაზილენდთან და პაპუა ახალ გვინეასთან. ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ხელი მოეწერა 56 ხელშეკრულებასა და ოქმს, ხოლო ძალაში შევიდა 26 ხელშეკრულება;

- ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება კვიპროსთან, ხელი მოეწერა შეთანხმებას სამხრეთ კორეასთან;

- „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში” ცვლილებების შეტანის თაობაზე” შეთანხმების შესაბამისად 2016 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 15 მარტს გამოშვებული 400,846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 360,846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 11.514 პროცენტი სარგებლის გადახდით და 40,000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, საიდანაც:

- ✓ 10,000.0 ათასი ლარი გადაფორმდა წლიური 14.000 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- ✓ 8,000.0 ათასი ლარი წლიური 14.125 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- ✓ 12,000.0 ათასი ლარი წლიური 14.250 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- ✓ 10,000.0 ათასი ლარი წლიური 14.375 პროცენტი სარგებლის გადახდით.

ასევე, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2016 წლის 15 მარტს განხორციელდა 2011 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 6,000.0 ათასი ლარის ოდენობით, 2016 წლის 15 ივნისს განხორციელდა 2012 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 12,000.0 ათასი ლარის ოდენობით და 2016 წლის 15 სექტემბერს განხორციელდა 2013 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 10,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სხვადასხვა არჩევნების დასაფინანსებლად სულ მიიმართა 14 986.8 ათასი ლარი, მ.შ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის რიგგარეშე არჩევნებზე 2016 წელს - 479.4 ათასი ლარი, გარდაბნის, კასპის, წყალტუბოს, ქალაქ ოზურგეთის, ოზურგეთის, ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედურ არჩევნებზე - 880.2 ათასი ლარი, საქართველოს პარლამენტის არჩევნებზე (1 ოქტომბრის მდგომარეობით) - 13 627.2 ათასი ლარი;

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 11 პოლიტიკური პარტია;

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 64 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 38.6 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 090 190.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 074 722.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.6%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 17.2%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 14.6%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 832 458.4 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 777 667.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.4%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 12.4%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 10.6%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 123 384.4 ათასი ლარი;
- მივლინება - 56 160.4 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 125 429.3 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 14 502.4 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები - 53 393.4 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 30 224.2 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 16 821.4 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 86 905.3 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 35 299.1 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 235 547.8 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 296 911.1 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმის 302 875.2 ლარის 98.0%-ია), რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 4.0%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 125 280.5 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე 171 570.8 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა 244 721.9 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 236 900.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.8%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 3.2%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 59 340.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.5%-ს შეადგენს;

- ✓ შეღავათიანი აგროკრედიტები - ჯამურად მიიმართა 37 042.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე ჯამურად მიიმართა 25 495.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 88.8%-ს შეადგენს.
- ✓ მეწარმეობის განვითარება - ჯამურად მიიმართა 19 052.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92.6%-ს შეადგენს;
- ✓ მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - ჯამურად მიიმართა 13 630.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91.2%-ს შეადგენს;
- ✓ სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია - ჯამურად მიიმართა 9 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;

„გრანტების” მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 677 144.4 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (707 003.2 ათასი ლარი) 95.8%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 9.2%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 2 303 899.3 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (2 332 162.6 ათასი ლარი) 98.8%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 31.4%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ✓ მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 1 153 105.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 492 263.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.2%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 482 877.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.3%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის და მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში პროგრამები - აღნიშნული მიზნით ჯამურად მიიმართა 123 144.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94.5%-ს შეადგენს;
- ✓ სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვებზე ზრუნვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 12 437.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 85.2%-ს შეადგენს;

„სხვა ხარჯების” მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 969 596.1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 888 699.7 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 91.7%-ს. „სხვა ხარჯების” მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების” საკასო შესრულების 14.2%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების - 12.1%-ს შეადგენს.


„სხვა ხარჯების” მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 377 041.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.2%-ს შეადგენს;

- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 111 587.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 67.3%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 57 003.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.8%-ს შეადგენს;
- მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 49 284.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ს შეადგენს.
- იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (მ.შ დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია) - აღნიშნული მიზნით მიიმართა 41 353.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 212.3%-ს შეადგენს;
- ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - აღნიშნული მიზნით მიიმართა 34 144.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 60.3%-ს შეადგენს;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 24 062.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.5%-ს შეადგენს;
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 20 425.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 70.9%-ს შეადგენს;


2016 წლის 9 თვის ხარჯების სტრუქტურა

(საკასო შესრულება)



**სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური
აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში**

**2015-2016 წლების 9 თვის ფაქტიური შესრულება
ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით**



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708-დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

შენიშვნა: 701* - გათვალისწინებული არ არის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 1 332 395.6 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 1 265 421.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 18.9%. მათ შორის:

- ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 253 129.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (298 178.2 ათასი ლარი) 84.9%-ია;

- ✓ საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 27 743.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (27 714.1 ათასი ლარი) 99%-ია;
- ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 296 851.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (302 815.4 ათასი ლარი) 98%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის დაფინანსებამ შეადგინა 647 091 ათასი ლარი, ანუ გეგმის (658 186.2 ათასი ლარი) 98.3%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 40 906 ათასი ლარი, რაც გეგმის (45 501.7 ათასი ლარი) 89.9%-ია.

• თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 497 374.7 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 504 955.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 101.5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 7.5%. მათ შორის:

- ✓ შეიარაღებული ძალების დაფინანსებამ შეადგინა 442 696.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (427 459.7 ათასი ლარი) 103.6%;
- ✓ საგარეო სამხედრო დახმარების დაფინანსებამ შეადგინა 30 852.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (38 518.3 ათასი ლარი) 80.1%;
- ✓ თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 30 291.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (30 045.4 ათასი ლარი) 100.8%-ს შეადგენს;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ თავდაცვის სფეროში შეადგინა 1 115.5 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის (1 351.3 ათასი ლარი) 82.6%-ია.

• საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 764 283.0 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 724 822.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.8%. მათ შორის:

- ✓ პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 414 674.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (421 338.9 ათასი ლარი) 98.4%;
- ✓ სახანძრო სამაშველო სამსახურის დაფინანსებამ შეადგინა 44 469.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (46 778.1 ათასი ლარი) 95.1%;
- ✓ სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 78 014.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (83 449.5 ათასი ლარი) 93.5%-ს შეადგენს;
- ✓ სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 86 486.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (101 511.5 ათასი ლარი) 85.2%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 101 178.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (111 205 ათასი ლარი) 91%-ს შეადგენს.

• ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 845 203.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 725 308.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 85.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 10.8%. მათ შორის:

- ✓ საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 39 878.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (46 869.4 ათასი ლარი) 85.1%;

- ✓ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 162 866.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (178 381.4 ათასი ლარი) 91.3%-ს შეადგენს;
- ✓ სათბოთხე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 15 903.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (15 889.0 ათასი ლარი) 100.1%-ს შეადგენს;
- ✓ სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაზე და მშენებლობაზე მიმართული იყო 864.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (882.9 ათასი ლარი) 97.9%;
- ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 404 392.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (483 692.0 ათასი ლარი) 83.6%;
- ✓ ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 80 877.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (97 232.5 ათასი ლარი) 83.2%;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 20 525.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (22 256.1 ათასი ლარი) 92.2%-ს შეადგენს.

• გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 38 968.1 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 36 939.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.6%. მათ შორის:

- ✓ ნარჩენების შეგროვების, გადამამუშავებისა და განადგურების დაფინანსებამ შეადგინა 4 165.3 ათასი ლარი რაც გეგმის (3 500.0 ათასი ლარი) 119%-ს შეადგენს
- ✓ გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსებამ შეადგინა 611.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (659.9 ათასი ლარი) 92.7%-ს შეადგენს;
- ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 15 071.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (15 789.0 ათასი ლარი) 95.5%-ს შეადგენს;
- ✓ გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 17 090.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (19 019.2 ათასი ლარი) 89.9%-ს შეადგენს.

• საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 40 261.4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 33 940.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 84.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.5%. მათ შორის:

- ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 13 475.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (11 325.5 ათასი ლარი) 119.0%-ს შეადგენს;
- ✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 20 144.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 635.0 ათასი ლარი) 78.6%-ს შეადგენს;
- ✓ საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 321.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 300.9 ათასი ლარი) 9.7%-ს შეადგენს.

• ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 733 103.6 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 705 963.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.5%. მათ შორის:


- ✓ სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 4 097.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (5 333.5 ათასი ლარი) 76.8%;
- ✓ ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 525 664.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (541 564.6 ათასი ლარი) 97.1%-ს შეადგენს;

- ✓ საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 110 397.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (106 832.2 ათასი ლარი) 103.3%;
 - ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 30 651.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (36 762.3 ათასი ლარი) 83.4%-ს შეადგენს;
 - ✓ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 35 153.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (42 611.0 ათასი ლარი) 82.5%-ს შეადგენს.
- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 202 350.3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 195 518.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 2.9%. მათ შორის:
 - ✓ დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 68 872.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (72 214.4 ათასი ლარი) 95.4%;
 - ✓ კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 83 885.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (83 440.5 ათასი ლარი) 100.5%-ს შეადგენს;
 - ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 33 758.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (35 217 ათასი ლარი) 95.9%-ს შეადგენს;
 - ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 1 091.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 651.4 ათასი ლარი) 41.2%-ს შეადგენს;
 - ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 7 910.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (8 827.0 ათასი ლარი) 89.6%-ს შეადგენს.
 - განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 790 815.4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 723 457.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91.5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.8%. მათ შორის:
 - ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 382 233.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (385 968.1 ათასი ლარი) 99%-ს შეადგენს;
 - ✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 17 309.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (18 935.2 ათასი ლარი) 91.4%;
 - ✓ უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 89 580.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (88 809.2 ათასი ლარი) 100.9%-ს შეადგენს;
 - ✓ უმაღლესის შემდგომი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 855.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (598.5 ათასი ლარი) 143.0%-ს შეადგენს;
 - ✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 59 733.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (63 818.0 ათასი ლარი) 93.6%-ს შეადგენს;
 - ✓ განათლების სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 37 351.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (47 415.9 ათასი ლარი) 78.8%-ს შეადგენს;
 - ✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 136 393.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (185 270.6 ათასი ლარი) 73.6%-ს შეადგენს.

• სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 1 774 315.1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 782 466.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 26.6%. მათ შორის:

- ✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 4 162.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4 360.0 ათასი ლარი) 95.5%;
- ✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1 155 160.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 155 258.0 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 489 792.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (494 403.1 ათასი ლარი) 100.0%;
- ✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 8 174.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (9 434.2 ათასი ლარი) 86.6%;
- ✓ სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 91 832.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (74 075.0 ათასი ლარი) 124.0%;
- ✓ სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 33 343.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (36 784.8 ათასი ლარი) 90.6%-ს შეადგენს.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში



საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 50 000.0 ათასი ლარით. ამასთან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები გაიზარდა:

- ✓ „2016 წელს განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი გამოყენების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 16 მაისის N824 განკარგულების თანახმად - 22 780.5 ათასი ლარით;
- ✓ „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფონდებში რესურსების გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 14 ივლისის N1405 განკარგულების თანახმად - 5 000.0 ათასი ლარით (საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე);
- ✓ „ზოგიერთი ღონისძიებების გატარების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 13 აგვისტოს N1585 განკარგულების თანახმად - 76 300.0 ათასი ლარით (მათ შორის 60 000.0 ათასი ლარი - საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე, ხოლო 16 300.0 ათასი ლარი - აღნიშნული განკარგულებით განსაზღვრული მხარჯავი დაწესებულებებისათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე).

გარდა აღნიშნულისა, ქართული ფეხბურთის განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 სექტემბრის N30 სხდომის ოქმის XXXVI პუნქტის მე-3 ქვეპუნქტით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა შესაბამისი რესურსის მოძიება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის გასაზრდელად.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 157 211.5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 87 269.2 ათასი ლარი.

ლარებში

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია		200,000.0	200,000.0	0.0	200,000.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1799 07.09.16.	2016 წლის 30 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით, მისი უწმინდესობის, რომის პაპის ფრანცისკეს საქართველოში დაგეგმილი ვიზიტის ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯების (მ.შ. ღონისძიებების გაშუქების ხარჯები) თანადაფინანსების მიზნით	200,000.0	200,000.0	0.0	200,000.0
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია		2,564,671.1	1,466,813.4	1,462,491.3	4,322.1
საქართველოს მთავრობის განკარგულება N212 11.02.16.	საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით, საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად	2,017,138.3	1,026,813.4	1,026,813.4	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N826 16.05.16.	საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ	440,000.0	440,000.0	435,677.9	4,322.1
საქართველოს მთავრობის განკარგულება N911	საქართველოს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის მიღებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის ხარჯების დასაფინანსებლად	107,532.8	0.0	0.0	0.0

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
23.05.16.					
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია		5,241,950.0	5,025,344.0	4,514,296.8	511,047.3
საქართველოს მთავრობის განკარგულება N547 31.03.16.	2016 წლის 22 მაისს დანიშნული გარდაბნის, კასპის, წყალტუბოს, ქალაქ ოზურგეთის, ოზურგეთის, ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნების დაფინანსების მიზნით	1,477,120.0	1,260,514.0	1,106,746.0	153,768.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1280 01.07.16.	2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დაფინანსების მიზნით	3,764,830.0	3,764,830.0	3,407,550.7	357,279.3
საერთო სასამართლოები		2,060,115.0	891,825.0	294,391.0	597,434.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N257 19.02.16.	2016 წლის 20 თებერვლიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის („გამომიების დროს პირის მოწმედ დაკითხვის წესის“) ამოქმედებისათვის საჭირო ღონისძიებების მხარდასაჭერად	715,815.0	472,725.0	292,478.3	180,246.7
